შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები
სასპეციალიზაციო გამოცდა

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ მოდულს:

1) შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია;
2) შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია.

საგამოცდო ბილეთის ფორმატი

წერითი სასპეციალიზაციო გამოცდა ჩატარდება მოდულების მიხედვით. I მოდულზე ჩაბარების მსურველები გამოცდას ჩააბარებენ ძველ ქართულ ფილოლოგიაში, ხოლო II მოდულზე - ძველ სომხურ ენაში. გამოცდა ტარდება წერით და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. საგამოცდო ბილეთში იქნება ოთხი საკითხი, რომელთაგან თითოეულის შეფასებისათვის უმაღლესი ქულაა 25. გამოცდის ხანგრძლივობა 3 საათი.

საგამოცდო საკითხები ძველ ქრთულ ფილოლოგიაში
(I მოდ. - შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია)

1. ქართული დამწერლობა. დამწერლობის შესწავლის კრიტერიუმები. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები.
2. ქართული სამწერლობო ენა (სამწერლობო ენის რაობა) და მისი ისტორია (განვითარების ეტაპები).
3. ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია.
4. ქართული მწიგნობრული კერები საქართველოსა და საზღვარგარეთ.
5. ქართველი მთარგმნელები.
6. ქართული თარგმანის ისტორია .
7. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ძირითადი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მოვლენები.
8. სახელთა ბრუნების სისტემა, ბრუნების ტიპები და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში: ბრუნვის ნიშანთა გენეზისი, ფონეტიკური პროცესები ბრუნვის ნიშნებსა და სახელის ფუძეში; ბრუნვათა ფუნციები. თანდებულიანი ბრუნვები.
9. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ტიპები ძველ ქართულში.
10. ზმნა: პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა, დრო-კილოთა წარმოების სისტემა (სერიები და მწკრივები, ზმნისწინი და ასპექტი).
11. სინტაქსის საკითხები: მარტივი წინადადების ევოლუციის ტენდენციები ქართულში (მართვა-შეთანხმების საკითხი ზმნასა და სახელს შორის ძველ ქართულში: კოორდინაციის სისტემა).
12. წინადადების ტიპები (პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, ინფინიტიური, მიმღეობური, პასიური კონსტრუქციები, სინტაქსური და ფრაზეოლოგიური კალკები).
13. ლექსიკა: სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებები, ნასესხები ლექსიკა, სიტყვათა მნიშვნელობის ცვლა.
14. წინადადების გარჩევა (ტექსტი მოცემული იქნება ნუსხურად).

ლიტერატურა:

- ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა

- არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968
- ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984
- კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია
- კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I
- კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998.
- მ. მაჭავარიანი, დავით ტბელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებები: თარგმანის ზოგადი დახასიათება. მაცნე, ელს, 1-4, 2002, გვ. 108-118.
- ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ. 2004
- ხარანაული ა., სეგმენტაციის მეთოდი „რუთის“ წიგნის გელათურ ვერსიაში, MNHMH, 2000, 329-339
- ხარანაული ა.., ეზრა I-ის ქართული თარგმანის ხანმეტი ტექსტი (ავთენტურობის, წარმომავლობისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები), METANOIA, 2001, 296-331

საგამოცდო საკითხები ძველ სომხურ ენაში.
(II მოდული შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია)

1. ბრუნების ტიპები და მათი სახეები ძველ სომხურ ენაში.
2. თანდებულები ძველ სომხურ ენაში. ბრუნვათა მართვა თანდებულთა მიერ.
3. ნაცვალსახელები და მათი სახეები ძველ სომხურ ენაში.
4. ზედსართავი სახელი ძველ სომხურ ენაში: ზედსართავის ხარისხები და მათი სინტაქსური ფუნქციები.
5. უღლება ძველ სომხურ ენაში.
6. ნამყოს ფუძის წარმოება ძველ სომხურ ენაში.
7. სახელის მრავლობითი ფორმების წარმოება ძველ და ახალ სომხურ ენაში.
8. მსაზღვრელი ნაწევარი ძველ სომხურ ენაში.
9. რიცხვითი სახელი ძველ სომხურ ენაში.
10. ნამყო დროის მიმღეობა ძველ სომხურ ენაში.
11. კაუზატივი და მისი წარმოება ძველ სომხურ ენაში.
12. სიტყვის სტრუქტურა და სიტყვათწარმოება ძველ სომხურ ენაში.

ლიტერატურა:

- ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ. 1975.
- ილ. აბულაძე, ძველი სომხური ენის ქრესტომათია, თბ. 1935.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ხელმძღვანელებს:
შუა საუკუნეების ქართული ფილოლოგია - ასოც. პროფ. ა. ხარანაული
ელ-ფოსტა: kharanauli@yahoo.de; ana.kharanauli@tsu.ge
შუა საუკუნეების სომხური ფილოლოგია - ასოც. პროფ. ზ. ალექსიძე. ტელ: 2 34-20-26. ელ-ფოსტა: zaza_alexsidze@hotmail.com